

## სწავლების ცენტრის მიერ შეფუთავებული ტრენინგების კონცეფცია წყალტუბოსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2019 წლის 19 მაისის შუალედური არჩევნებისთვის

2019 წლის 19 მაისს წყალტუბოსა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში გასამართი საკრებულოს შუალედურ არჩევნებზე პილოტურად გამოიყენება საარჩევნო ტექნოლოგიები, კერძოდ, კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი ხმას მისცემს ელექტრონული ხმის მიცემისა და დათვლის სპეციალური აპარატის საშუალებით. ელექტორატისთვის კვალიფიციური მომსახურების განხორციელების მიზნით, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით კენჭისყრაში ამომრჩევლის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ცესკო და სწავლების ცენტრი №57 ტყიბულის საარჩევნო ოლქის №57.01.03 ტყიბულის ქალაქისა და №58 წყალტუბოს საარჩევნო ოლქის №58.04 გუმბრას თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ჩატარებს ტრენინგებს.

### ტრენინგების სისტემა:

**I ეტაპი** დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) სწავლებას. განხილულ იქნება შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- ხმის მიცემის და დათვლის სპეციალური აპარატის ფუნქციონირების ტექნიკური უზრუნველყოფა და პროცესის უსაფრთხოება;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების საორგანიზაციო ფუნქციები საარჩევნო უბნის გახსნის პროცესში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების საზედამხედველო ფუნქციები კენჭისყრის პროცესში (მათ შორის ხმის მიცემის და დათვლის სპეციალური აპარატის გამოყენებით ხმის მიცემის პროცესის ზედამხედველობა) და რეაგირება;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების საორგანიზაციო ფუნქციები საარჩევნო უბნის დახურვის და ხმის დათვლის პროცესში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების კომპეტენცია შემაჯამებელი ოქმის შედგენასა და საოლქო საარჩევნო კომისიისთვის დოკუმენტაციის გადაცემის პროცესში;
- კენჭისყრის დღის განცხადებები/საჩივრები;
- ამომრჩეველთა სიები, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირება.

საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა პროცედურული ცოდნის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგი ჩატარდება კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მათ შორის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების უზრუნველსაყოფად მონაწილეები ხმის მიცემის და დათვლის სპეციალური აპარატის გამოყენებით განახორციელებენ კენჭისყრის პროცესის ეპიზოდურ ინსცენირებებს.

კომისიის ხელმძღვანელ პირები ასევე მიიღებენ შესაბამის ინსტრუქტაჟს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობის საკითხებზე.

I ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 4.30 საათი

I ეტაპის განხორციელების პერიოდი: 11 მაისი, 2019 წელი

**II ეტაპი** დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა (9 წევრი თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიიდან, გარდა ხელმძღვანელი პირებისა) სწავლებას. განხილული იქნება შემდეგი ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქციები საარჩევნო უბნის გახსნის პროცესში და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქციები კენჭისყრის პროცესში;
- ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის შევსების ახალი წესი და საარჩევნო ბიულეტენის მოთავსება საარჩევნო ყუთში ხმის მიცემისა და დათვლის სპეციალური აპარატის გამოყენებით;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქციები საარჩევნო უბნის დახურვისა და ხმის დათვლის პროცესში.

საარჩევნო კომისიების წევრთა პროცედურული ცოდნის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგი ჩატარდება კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მათ შორის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადრმავეების უზრუნველსაყოფად მონაწილეები ხმის მიცემის და დათვლის სპეციალური აპარატის გამოყენებით განახორციელებენ კენჭისყრის პროცესის ეპიზოდურ ინსცენირებებს.

საარჩევნო კომისიების წევრები ასევე მიიღებენ შესაბამის ინსტრუქტაჟს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობის საკითხებზე.

II ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 3.30 საათი

II ეტაპის განხორციელების პერიოდი: 12 მაისი, 2019 წელი

**III ეტაპი** დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის სწავლებას. ტრენინგების ფარგლებში საუბნო კომისიების წევრები პრაქტიკულად განახორციელებენ კენჭისყრის დღის ეპიზოდურ ინსცენირებას, ხმის მიცემის და დათვლის სპეციალური აპარატის გამოყენებით (ეპიზოდური ინსცენირება ითვალისწინებს კენჭისყრის დღის დილის 07:00 საათიდან - 08:00 საათამდე ჩასატარებელი პროცედურების, საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების/დათვლის პროცედურებისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებას). ტრენინგის მონაწილეები ასევე გაეცნობიან კენჭისყრის დღეს ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციებსა და არჩევნების უსაფრთხოების საკითხებს.

III ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 2.30 საათი

III ეტაპის განხორციელების პერიოდი: 13-14 მაისი, 2019 წელი